ქ.თბილისის მერიის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ მალხაზ კუნელაურს
მოქალაქე: ლალი ახვლედიანის
წარმომადგენლის: ირაკლი ყანდაშვილის
(პ/ნ 01024033307)
მისამართი: ხვიჩიას 19. ბ.12
ტელ: 599 175-075

განცხადება

2013 წლის 22 აპრილს მოგმართეთ წერილობით (ელ.განცხადების #AR1126827; თარიღი: 23.04.2013) და გაცნობეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ „მარუხი 2008“ მოგმართავდათ პროექტის კორექტირებაზე (მარუხის გმირების ქუჩა #15-ში მიმდინარე მშენებლობის თაობაზე; საკადასტრო კოდი 01.014.011.058.051), ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით ან ნებისმიერი სახის საკითხზე მარუხის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის კუთხით, გეცნობებინათ ჩვენთვის როგორც დაინტერესებული მხარისათვის და მომხდარიყო ნებისმიერი ნაბიჯის ჩვენ მხარესთან შეთანხმება, რათა კიდევ ერთხელ არ დარღვეულიყო ჩვენი კანონიერი ინტერესი.

წინამდებარე წერილით დამატებით მოგმართავთ და გაცნობებთ შემდეგს:

- 2013 წლის 11 მაისიდან 17 მაისის ჩათვლით არ ვიქნები საქართველოში და შესაბამისად გთხოვთ ამ პერიოდში რაიმე მოთხოვნის განხილვა არ მოხდეს ზემოაღნიშნული სუბიექტის განცხადებებთან დაკავშირებით, მით უფრო არ ჩაინიშნოს ზეპირი მოსმენა, რათა მოგვეცეს ასეთ მოსმენაზე დასწრების საშუალება და ეს იქნებ მოხდეს 2013 წლის 18 მაისის შემდგომ.
- ასევე გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ „მარუხი 2008“ აღნიშნულ ობიექტზე მოგმართავთ არქიტექტურული ზონალური კოეფიციენტის გაზრდის მოთხოვნით ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს, მით უფრო, რომ 2009 წლის 27 მარტის ქალაქ თბილისის საკრებულოს #4-13 გადაწყვეტილების თანახმად : „ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ გაწერს რომ „განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების მაქსიმალური მაჩვენებლები გადამეტებულ შეიძლება იყოს განაშენიენების რეგულირების გეგმების გადაწყვეტების საფუძველზე თუ:

  გადამეტება წონასწორდება ან კომენსირდება გარკვეული ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას... ამას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესი...“

გაითვალისწინეთ, რომ ჩვენს შემთხვევაში სწორედაც რომ მსგავსი მოთხოვნით თუ იქნება თქვენ სამსახურში მომართვა ეს დაუპირისპირდება ჩვენს საზოგადოებრივ ინტერესს და მეორე მხრივ, კოეფიციენტის მომატებით არ კომენსირდება ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო მოთხოვნების შელახვის ინტერესი.

უფრო მეტიც, გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში წარმოგიდგენთ საექსპერტო დასკვნას, რომლითაც დადასტურდება, რომ მსგავსი სახით მშენებლობის გაგრძელება და მით უფრო მსგავსი მშენებლობის დასრულება სახანძრო უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებული საშიშროების მომტანია მთელი ქუჩისთვის და კონკრეტულად ჩემი მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული ქონებისთვის.

პატივისცემით,

ირაკლი ყანდაშვილი
10 მაისი, 2013წ